მორწმუნე კაცსა და მორწმუნე ქალს არ შეუწყდებათ განსაცდელები, რომლებიც ეხება მათ თავად, მათ შვილებსა და ქონებას, ვიდრე ისინი ალლაჰს არ შეხვდებიან ყოველგვარი ცოდვის გარეშე

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მორწმუნე კაცსა და მორწმუნე ქალს არ შეუწყდებათ განსაცდელები, რომლებიც ეხება მათ თავად, მათ შვილებსა და ქონებას, ვიდრე ისინი ალლაჰს არ შეხვდებიან ყოველგვარი ცოდვის გარეშე».
[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ მორწმუნე მამაკაცი და ქალი მუდამ გადიან გამოცდებსა და განსაცდელებს. ეს შეიძლება იყოს მათი ჯანმრთელობისა და სხეულის პრობლემები, შვილების დაავადებები, გარდაცვალება, ურჩობა ან სხვა სირთულეები, ასევე ქონებრივი პრობლემები, როგორიცაა გაღატაკება, ვაჭრობის დაკარგვა, ქურდობა, ან ცხოვრების მძიმე პირობები და საარსებო საშუალებების სიმცირე. ალლაჰი ამ განსაცდელებით წმენდს მათ ყველა ცოდვასა და შეცდომას, რათა ალლაჰთან შეხვედრისას სრულიად გაწმენდილნი და ყოველგვარი ცოდვისგან თავისუფალნი წარსდგნენ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3159